

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო  
ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს  
სხდომის ოქმი №1

ქ. ჩხოროწყუ

31 მარტი, 2023 წ.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გაიმართა 2023 წლის 31 მარტს.

სხდომის ადგილი: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა.

სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს სხდომა გახსნა მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ. საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე სხდომას უძღვებოდა მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა.

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: მათა მიქავა, მათა გოგუა, ნუგზარ ჟვანია, თემურ წურწუშია, თეა თოდუა, სალომე ქაჯაია და შახი სახურია.

საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: მანანა სართანია, თენგიზ პერტახია და ლანა თოლორდავა.

დღის წესრიგი:

1. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
2. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ.

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს: 1. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

საბჭოს წევრებმა მათა მიქავამ, სალომე ქაჯაიამ და ნუგზარ ჟვანიამ საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურად დაასახელეს მათა გოგუა.

სხვა კანდიდატურა არ ყოფილა დასახელებული.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

მაია გოგუას საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა სალომე ქაჯაიამ საბჭოს გააცნო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების შედეგები. მან აღნიშნა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო საბჭოს სხდომაზე დამსწრე 7-ვე წევრმა, საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა 7 საარჩევნო ბიულეტენი, კანდიდატ მაია გოგუას მიერ მიღებული ხმების რაოდენობა შემდეგია: მომხრე-7, წინააღმდეგი-0.

საბჭომ დაადგინა:

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ 2 წლის ვადით არჩეულ იქნეს მაია გოგუა.

მოისმინეს: 2. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ.

საბჭოს წევრებმა მაია გოგუამ და შახი სახურიამ საბჭოს მდივნად წარადგინეს სალომე ქაჯაიას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ ყოფილა დასახელებული.

საკითხი დაყენებულ იქნა ღია კენჭისყრაზე.  
კენჭისყრის შედეგები: მომხრე-7, წინააღმდეგი-0.

საბჭომ დაადგინა:

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნად 2 წლის ვადით არჩეულ იქნეს სალომე ქაჯაია.

ამით სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე



/მაია გოგუა/

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს  
სხდომის ოქმი 2

ქ.ჩხოროწყუ

19 აპრილი.2023წ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს  
რიგით მეორე

სხდომას ხელმძღვანელობდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი  
დათო გოგუა.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- 1.ჟვანია ნუგზარი მცხოვრები მისამართზე: ჩხოროწყუ, სოფ. ხაბუმე,  
37-ე ქ. 134
- 2.გოგუა მაია -მცხოვრები მისამართზე: ჩხოროწყუ, სოფ. ჭოლა, მე-12 VI  
ჩიხი, 1
- 3.პერტახია თენგიზ მცხოვრები მისამართზე: ჩხოროწყუ, ს. ხაბუმე,50-  
ე ქ. 28
- 4.წურწუმია თემური-შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების  
:საბა 2002“ დირექტორი
- 5.თოდუა თეა მცხოვრები მისამართზე: ჩხოროწყუ, სოფ. მუხური, მე-17  
ქ. 108
- 6.მიქავა მაია-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის  
;ასოციაცია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის“ თავმჯდომარე
- 7.ქაჯაია სალომე- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის  
:ჩხოროწყუ-სიკეთის ქალაქი“ დირექტორი
- 8.სახურია შახი მცხოვრები მისამართზე: ჩხოროწყუ,სოფ.კირცხი,28-ე ქ.  
4

ასევე საბჭოს სხდომას ესწრებოდენ მუნიციპალიტეტის მერი: დათო გოგუა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ზაზა ხორავა.

საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდენ მანანა სართანია და ლანა თოლორდავა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი მიესალმა საბჭოს წევრებს და აუხსნა, რომ საბჭოს სხდომა მოწვეულ იქნა მისი ინიციატივით, საკითხი ეხება 2023 წლის ბიუჯეტის განხილვას. მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ზაზა ხორავას დეტალურად მიმოეხილა ბიუჯეტი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან ერთად, რათა მრჩეველთა საბჭოს წევრები-რეკომენდაციების წარდგენის დროს გათვითცნობიერებული ყოფილიყვნენ ბიუჯეტში სხვადასხვა მიმართულებით ფინანსების რაოდენობაზე

### **დღის წესრიგი:**

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ეტაპობრივი განხილვა

მომხსენებელი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ზაზა ხორავა

**მოსმენის შემდგომ:** სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ იმსჯელა სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო და ინფრასტრუქტურული მიმართულებით არსებულ პრობლემებზე. ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე.

მსჯელობის შედეგად გამოვლინდა გარკვეული დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც შესაძლებლობის შემთხვევაში ეტაპობრივად გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმაში.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა დათო გოგუამ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ იგი პერიოდულად საბჭოს

განსახილველად წარუდგენს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს, ასევე ინფრასტრუქტურულ თუ სოციალურ პროექტებს და იმედოვნებს, რომ საბჭო პასუხისმგებლობით მოეკიდება აღნიშნულს და წარმოადგენს კვალიფიციურ რეკომენდაციებს და წინადადებებს.

საბჭოს წევრებმა აღნიშნულთან დაკავშირებით გამოხატეს თავიანთი აზრი და დააფიქსირეს, რომ ისინი აქტიურად აპირებენ მონაწილეობა მიიღონ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვაში.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა დასრულდა 16:00 საათზე

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე მაია გოგუა

/  /